GÜRTİAD

ქართველ და თურქ ბიზნესმენთა ასოციაცია
GÜRCÜ VE TÜRK İŞADAMLARI DERNEĞİ

HAFTALIK EKONOMİ BÜLTENİ

კვირის ეკონომიკური გამოცემა

2020 / 27 – 03 Nisan / აპრილი

Nüfus / მოსახლეობა	GSYİH ($) / მშპ ($)	GSYH (büyüme) /მშპ	İşsizlik / უმუშევრობა	Enflasyon/ინფლაცია
3 723.5	4 763.5	5.1 %	11.6 %	6.1%

Korona Virüs
კორონა ვირუსი

Son istatistik verilerine göre dünya çapında Korona Virüs vakalarının sayısı 1 milyonu aşmıştır. Worldometers'e dayanarak, vakaların sayısı 1 021 043, vefat eden kişi sayısı – 53 458, iyileşen kişi sayısı – 214 803. En çok vaka sayısı ABD, İtalya, İspanya, Almanya ve Çin ülkelerde görülmüştür. Konu ile alakalı diğer detaylar aşağıdaki tabloda bulunmaktadır:

კორონა ვირუსით ინფიცირებულთა რიცხვმა მსოფლიოს მასშტაბით, ბოლო სტატისტიკური მონაცემებით 1 მილიონს გადააჭარბა. Worldometers-ის ცნობით, ჯამში, ახალი ვირუსით 1,000,889 ადამიანი დაინფიცირდა, გარდაიცვალა 51 371 პაციენტი, ხოლო გამოჯანმრთელდა 210 214 პირი. ყველაზე მეტი ინფიცირებული ამ ეტაპისთვის აშშ-ს, იტალიას, ესპანეთს, გერმანიას და ჩინეთს ჰყავს. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული დამატებითი სტატისტიკა ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეგიძლიათ იხილოთ:

Ülke ქვეყანა	Hasta პაციენტი	Ölüm გარდაცვალება	İyileşme გამოჯანმრთელება	Toplam Vaka ფაქტი
ABD / აშშ	228 874	6 095	10 411	245 380
İtalya / იტალია	83 049	13 915	18 278	115 242
İspanya / ესპანეთი	76 262	10 935	30 513	117 710
Almanya / გერმანია	61 247	1 107	22 440	84 794
Çin / ჩინეთი	1 727	3 322	76 571	81 620
Fransa / საფრანგეთი	41 290	5 387	12 428	59 105
İran / ირანი	30 597	3 160	16 711	50 468
Birleşik Krallık / დიდი ბრიტანეთი	30 662	2 921	135	33 718
İsviçre / შვეიცარია	13 695	565	4 846	19 106
Türkiye / თურქეთი	17 364	356	415	18 135
Gürcistan / საქართველო	121	0	27	148
Total (Dünya) სულ (მსოფლიო)	754 084	54 045	218 586	1 026 715

Gürcistan'da, enfekte olan insanların sayısının önemli ölçüde arttığı için ilan edilen olağanüstü hal durumu daha da sıkılaştırıldı. 31.03.2020 tarihi saat 08:00'den itibaren 21 Nisan'a kadar, 21:00-06:00 saatleri arasında sokağa çıkma yasağı ilan edildi. Şehirlerarası ve şehir içi tüm toplu ulaşım araçlarının faaliyeti durdurulmuştur. Binek araç ve taksilerin, içinde 3'ten fazla yolcunun bulunmaması ve şoförün yanındaki koltuğun boş olması şartıyla dolaşımı serbesttir. Eczane ve gıda marketleri hariç olmak üzere, 3'ten fazla kişinin bir arada bulunması yasaklandı.70 yaş üstü kişilerin, en yakınında bulunan market, eczane veya sağlık merkezine gitme durumları hariç olmak üzere sokağa çıkmaları yasaklandı. Tiflis, Batum, Kutaisi, Poti, Rustavi ve Gori şehirleri idari sınırlarında giriş-çıkışların kontrol edilmesi amacıyla kontrol noktaları kurup ve ateş ve kimlik kontrolü yapılmaktadır.

საქართველოში, დაინფიცირებულთა რაოდენობის საგრძნობლად მომატების გამო, კიდევ უფრო გამკაცრდა გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის პირობები. 31.03.2020 თარიღის 08:00 საათიდან, 21 აპრილამდე, 21:00-06:00 დროის პერიოდში გამოცხადდა კომენდანტის საათი. სრულად აიკრძალა როგორც საქალაქთაშორისო, ისე საზოგადოებრივი ტრანსპორტი. მოძრაობა დასაშვებია მხოლოდ მსუბუქი ავტომობილებით და ტაქსებით, სადაც მგზავრთა რაოდენობა არ უნდა იყოს 3 ადამიანზე მეტი და მძღოლი გვერდით არსებული სავარძელი უნდა იყოს თავისუფალი. აიკრძალა 3-ზე მეტი ადამიანის თავშეყრა გარდა სურსათის მაღაზიებსა და აფთიაქებში. 70 და მეტი ასაკის მქონე პირთათვის, საცხოვრებელ ადგილთან ყველაზე ახლოს მდებარე სასურსათო მაღაზიის, აფთიაქის და სამედიცინო დაწესებულების სტუმრობის გარდა, ყველა სხვა მიზეზით გარეთ გამოსვლა აიკრძალა. მოეწყო ბლოკ პოსტები თბილისის, ბათუმის, ქუთაისის, ფოთის, რუსთავის და გორის ადმინისტრაციულ საზღვრებთან, სადაც მოქალაქეებს გაუკონტროლდებათ ტემპერატურა და პირადი დოკუმენტაცია.

AK YIL ZEMİN Ank Catering ARKAS GEORGIA LLC EM Ermed GEORGIA İŞBANK KOÇ KABLO LC WAIKIKI MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM Ziraat Bankası

Yasa Değişikliği
საკანონმდებლო ცვლილებები

Değerli üyemiz, ülkedeki mevcut yasal değişiklikler hakkında her iki dilde makale "Nodia, Urumashvili & Partners" www.nplaw.ge şirket tarafından hazırlanmıştır. Derneğimiz "Nodia, Urumashvili & Partners" şirketine işbirliği içi yürekten teşekkür eder.

31 Mart 2020 tarihinde Gürcistan Adalet Bakanı tarafından Gürcistan'da yeni Korona virüs (COVID-19) etkisinin önlemesi maksadıyla kamu kurum – Gürcistan Noter odası faaliyetleri ve noter tarafından hizmet kuralları ve şartlarının belirlenmesi hakkında emir verilmiştir. Söz konusu Emire istinaden, Emrin geçerli olduğu müddetçe Emir ile belirlenmiş kuralla göze alınmayan her türlü noter hizmetinin verilmesi yasaklanmıştır.

Söz konusu Emir gereğince, noter hizmetinin verilmesi maksadıyla geçici noter büroları aşağıda açıklanmış adreste açılmıştır:

- Tiflis, Vaja - Pşavela Caddesi N1,
- Tiflis, Sanapiro Sok.N2

Söz konusu emir 01 Nisan 2020 tarihinde yürürlüğe girecek ve ''Gürcistan tüm bölgesinde olağanüstü durumun ilan edilmesiyle ilgili icra edilecek faaliyetler'' hakkında Gürcistan Cumhurbaşkanının N1 hükmünün geçerli olduğu müddetçe geçerli kalacaktır.

01 Nisan 2020 tarihinde Gürcistan Hükümeti tarafından 211 numaralı emrine istinaden 23 Mart 2020 tarihli 181 numaralı ''Gürcistan'da yeni Korona virüs (COVID-19) etkisinin yayınlanmasının önlemesi maksadıyla icra edilecek faaliyetler'' hakkında hükmünde değişiklikler yapılmıştır. Söz konusu değişikliğiyle olağanüstü durumunda hizmet verebilecek ekonomik faaliyetlerde bulunan alan listesi onaylanmıştır.

ძვირფასო წევრებო, ქვეყანაში მიმდინარე საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებული ორენოვანი სტატია მოამზადა ასოციაციის წევრმა „ნოდია, ურუმაშვილი და პარტნიორები" www.nplaw.ge ასოციაცია გულითად მადლობას უხდის თანამშრომლობისთვის კომპანიას „ნოდია, ურუმაშვილი და პარტნიორები" და გთავაზობთ მომზადებულ მასალას.

2020 წლის 31 მარტს საქართველოს იუსტიციის მინისტრმა მიიღო ბრძანება საქართველოში ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების აღკვეთის ხელშეწყობის მიზნით საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ნოატრიუსთა პალატის საქმიანობისა და ნოტარიუსთა მიერ მომსახურების წესებისა და პირობების დადგენის შესახებ, რომლის მიხედვითაც ბრძანების მოქმედების პერიოდში იკრძალება ბრძანებით დადგენილი წესით გაუთვალისწინებელი ყოველგვარი სანოტარო საქმიანობა.

ბრძანების მიხედვით, სანოტარო მომსახურების მიწოდებისთვის იქმნება დროებითი სანოტარო ბიუროები შემდეგ მისამართებზე:

თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი N1,

თბილისი, სანაპიროს ქუჩა N2

აღნიშნული ბრძანება ამოქმედდა 2020 წლის 1 აპრილს, და მოქმედებს „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის N1 დეკრეტის მოქმედების ვადით.

2020 წლის 1 აპრილს საქართველოს მთავრობამ მიიღო დადგენილებით N211, რომლითაც შევიდა ცვლილება „საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“ 2020 წლის 23 მარტის N181 დადგენილებაში. აღნიშნული ცვლილებით დამტკიცდა ეკონომიკური საქმიანობის ჩამონათვალი, რომლებსაც არ ეზღუდებათ ფუნქციონირება საგანგებო მდგომარეობის პერიოდში.

Ekonomi Canlandırmak İçin Planlanan Önlemler
ეკონომიკის სტიმულირების მიზნით დაგეგმილი ღონისძიებები

Gürcistan Hükümeti, dünya salgın çerçevesinde işletmelere ve iş insanlara yardım yolları bulmak için çalışmayı devam ediyor. Hükümet tarafından ekonomiye doğrudan yardım için 2 milyar tutarında fon ayırma kararı alınmıştır, ancak bu kaynağın nerede kullanılacağı henüz bilinmiyor. Doğrudan korona Virüs ile mücadele kapsamında ise ek olarak 351 milyon Lari ayrılmıştır.

Bununla beraber Gürcistan Başbakanı Giorgi Gakharia yaptığı açıklamada, hükümetin 200 kilowat'tan az elektrik ve 200 metreküpten az doğal gaz tüketen vatandaşların faturalarının üç ay boyunca ücretsiz olacağını açıkladı. Açıklamaya göre karar, temizlik ve su faturalarını da içeriyor.

საქართველოს მთავრობა მსოფლიო პანდემიის პირობებში განაგრძობს მუშაობას, რათა მონახოს ბიზნესისთვის დახმარების გაწევის გზები. მთავრობის გადაწყვეტილებით, ეკონომიკის პირდაპირი დახმარების მიზნით, 2 მილიარდი ლარი იქნა გამოყოფილი, თუმცაღა ჯერჯერობით უცნობია თუ რა მიმართულებით მოხდება აღნიშნული რესურსის გამოყენება. უშუალოდ კორონა ვირუსთან ბრძოლის ღონისძიებებისთვის კი კრიზისულ ბიუჯეტში 351 მილიონი ლარია გათვალისწინებული.

აღნიშნულის პარალელურად სახელმწიფომ გარკვეული შეღავათები დაუწესა მოსახლეობას კომუნალურ გადასახადებზე. მთავრობის გადაწყვეტილებით, ყველას, ვინც მოიხმარს 200 კილოვატზე ნაკლებ ელექტროენერგიას და 200 კუბურ მეტრზე ნაკლებ ბუნებრივ აირს, კომუნალური გადასახადი სამი თვის განმავლობაში სრულად დაუფინანსდება

2020 Yılı Mart Ayında Gürcistan'da Enflasyon
ინფლაცია საქართველოში 2020 წ. მარტი

Gürcistan milli istatistik kurumun verilerine göre, 2020 yılı Mart ayında ülkedeki enflasyon seviyesi %0.7 oranı ile artmıştır. Yıllık enflasyon oranı ise bu dönemde %6.1 olarak belirlenmiştir. Aylık enflasyon oranı aşağıdaki ürün ve grupların fiyatlarındaki değişimden etkilenmiştir.

Yiyecek ve alkolsüz içeceklerde fiyatlar %2.0 artmıştır. Sebze %9.6, Meyve - %8.9, Töz şeker, reçel ve diğer tatlılar - %3.7, Yağlar - %2.6, Maden ve tatlı sular, alkolsüz içecekler ve meyve sular - %2.3, Ekmek ve ekmek ürünleri - %1.7; Aynı zamanda Süt, Peynir, Yumurta fiyatları %1.3 ve Balık fiyatları - %1.2 düşmüştür.

Ulaşım sektöründe fiyatların %0.8 düşüş görülmüştür. Ulaşım hizmetlerinde fiyatlar %2.0 ve kişisel araç kullanımında fiyatlar %1.4 düşmüştür. Ayrıca araç satın alma fiyatları %8.6 artmıştır.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, 2020 წლის მარტში, წინა თვესთან შედარებით ინფლაციის დონემ საქართველოში 0.7%, ხოლო წლიური 6.1 % შეადგინა. ყოველთვიური ინფლაციის მაჩვენებელზე გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე:

სურსათი და უალკოჰოლო სასმელები: ფასების მატება 2.0%-ით. ბოსტნეული - 9.6%, ხილი - 8.9%, შაქარი, ჯემი და სხვა ტკბილეული - 3.7 %, ზეთი და ცხიმი 2.6%, მინერალური და წყაროს წყალი, უალკოჰოლო სასმელები და ნატურალური წვენები 2.3%, პური და პურპროდუქტები 1.7% პროცენტი. ამასთან, ფასები შემცირდა რძის, ყველის, კვერცხის ფასები 1.3%-ით და თევზეულის 1.2%-ით.

ტრანსპორტი: ფასების კლება 0.8%-ით. ფასები შემცირდა სატრანსპორტო მომსახურებაზე 2.0%-ით და პირადი სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციაზე 1.4%-ით. ამასთან, ფასები გაიზარდა სატრანსპორტო საშუალებების შეძენაზე 8.6%-ით.

AK YIL ZEMIN · Ank Catering · ARKAS GEORGIA LLC · EM Ermed GEORGIA · İŞBANK · KOÇ · KABLO · LC WAIKIKI · ნაბახტარი · MAQRO CONSTRUCTION · nurol · ŞİŞECAM · Ziraat Bankası

Resmi Kur Göstergeleri / ოფიციალური გაცვლითი კურსი (03.04.2020)

USD/GEL – 3.1813 TRY/GEL – 0.4766 EUR/GEL – 3.4778 GBP/GEL – 3.9629

USD/GEL

27 – 03 Nisan 2020

USD/TRY

27– 03 Nisan 2020

TRY/GEL

27 – 03 Nisan 2020

AK YIL ZEMİN · Ank Catering · ARKAS GEORGIA LLC · Ermed GEORGIA · İŞBANK · KOÇ · KABLO · LC WAIKIKI · MAQRO CONSTRUCTION · nurol · ŞİŞECAM · Ziraat Bankası